

**პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP) –
საბაჟო შეღავათები ექსპორტის დროს**

შინაარსი

ზოგადი ნაწილი.....	4
GSP-ს გენეზიციარის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმები.....	6
კრევერენციალური ტარიფით სარგებლობის პირობები.....	8
ტრანსპორტირების წესები (პირდაპირი გადატვირთვა).....	8
წარმოშობის კრიტერიუმები.....	9
GSP-ს პირობები სქემები.....	13

ზოგადი ნაწილი

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას საგარეო ვაჭრობა და პირველ რიგში ექსპორტის სტიმულირება წარმოადგენს, რამაც ქვეყნის სავალუტო შემოსავლების ზრდა უნდა უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს ადგილობრივი წარმოების შემდგომ გაფართოებას.

ექსპორტის მომგებიანობაზე გადამწყვეტ გავლენას პარტნიორი ქვეყნის სავაჭრო რეჟიმი ახდენს, რომელიც, როგორც წესი, დიფერენცირებულია და ამდენად პარტნიორ ქვეყნებთან ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმის დამყარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ვაჭრობის შემდგომი გაფართოებისთვის.

საქართველოში არსებული სავაჭრო რეჟიმის მიხედვით საქონლის ექსპორტი განთავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისგან. საქონლის ექსპორტ-იმპორტზე არ არსებობს აკრძალვები, რაოდენობრივი შეზღუდვები და საექსპორტო საბაჟო გადასახადები. არსებული კანონმდებლობით გარკვეული ნომენკლატურის საქონლის შემოტანისა და გატანისთვის აუცილებელია შესაბამისი სამთავრობო უწყებების ნებართვები, ხოლო იმპორტული პროდუქციის გარკვეულ სახეობებზე დაწესებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან შეთანხმებული, დიფერენცირებული საიმპორტო ტარიფები.

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე ქვეყნების უმრავლესობას (განსაკუთრებით კი მაღალგანვითარებულ ქვეყნებს), მრავალი სახის სავაჭრო რეჟიმი გააჩნია პარტნიორ ქვეყნებთან.

აღნიშნული რეჟიმების ხასიათი შეიძლება განისაზღვროს შემდეგი გარემოებებით:

- ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები;
- მათი მონაწილეობა რეგიონულ და საერთაშორისო ეკონომიკურ გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში;
- ეკონომიკურად სუსტი ქვეყნებისთვის დახმარების პროგრამები და ა.შ.

სავაჭრო პარტნიორებთან ურთიერთობის სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზის მიხედვით ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების საფუძველზე, საქართველოში მოქმედებს 4 ძირითადი სავაჭრო რეჟიმი:

1. **საბაზო (ჩვეულებრივი სავაჭრო რეჟიმი)** – ამ რეჟიმით ქვეყანა ვაჭრობს იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც არა აქვს ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულების ბაზაზე მოქმედი განსხვავებული სავაჭრო რეჟიმი და არა აქვს დამყარებული საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობიდან გამომდინარე სავაჭრო ურთიერთობები.
2. **უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN – Most Favorable Nations)** – წარმოადგენს **WTO**-ს არადისკრიმინაციული ვაჭრობის პრინციპის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს. იგი ითვალისწინებს **WTO**-ს წევრ **MFN** სავაჭრო რეჟიმით მოსარგებლე ქვეყნისათვის ბაზარზე დაშვების ერთნაირი შეღავათიანი პირობების მინიჭებას.
3. **პრეფერენციული რეჟიმი** – როგორც მისი დასახელებიდან ჩანს, შეღავათიანი რეჟიმით ვაჭრობის პირობებს ითვალისწინებს. გამოყენების წესების მიხედვით, არსებობს პრეფერენციული რეჟიმების ორი ტიპი – სიმეტრიული და ასიმეტრიული. ქვეყნებს შორის მოქმედი სიმეტრიული პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმი შეღავათიანი სავაჭრო პირობების/ტარიფების

ურთიერთდაწესებას ითვალისწინებს, ხოლო ასიმეტრიული რეჟიმის დროს შეღავათები ცალმხრივია.

- სიმეტრიულ პრეფერენციულ რეჟიმებს შორის ყველაზე გავრცელებული ფორმებია უბაჟო/თავისუფალი ვაჭრობისა და საბაჟო კავშირის რეჟიმები. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი (FTA) გულისხმობს მხარეთა ტერიტორიაზე წარმოებული საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და მუშახელის შეუზღუდავ გადაადგილებას ნულოვანი საბაჟო ტარიფებით.
 - ასიმეტრიული პრეფერენციული რეჟიმებით ვაჭრობა ყალიბდება ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ სახელმწიფოებს შორის. ამ სახის რეჟიმებს განვითარებული ქვეყნები ეკონომიკურად შედარებით სუსტ პარტნიორ ქვეყნებს ანიჭებენ, რაც გულისხმობს ცალმხრივ საბაჟო-სატარიფო შეღავათების (საპასუხო შეღავათების მოთხოვნის გარეშე) მინიჭებას და ეკონომიკური დახმარების ერთ-ერთ ფორმას. ასიმეტრიული პრეფერენციით მოსარგებლე (ბენეფიციარი) ქვეყნებისთვის დაწესებული შეღავათიანი ტარიფები უფრო დაბალია, ვიდრე MFN რეჟიმით გათვალისწინებული ტარიფები. ასიმეტრიული პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმაა „პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა“ (GSP - Generalizad Sistem of Preferens), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს განვითარებადი და ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან პროდუქციის ექსპორტს. არსებობს კიდევ რამოდენიმე ასიმეტრიული პრეფერენციული ვაჭრობის რეჟიმი, როგორებიცაა: „გაფართოებული პრეფერენციული რეჟიმი ორმოცდაცხრა ნაკლებად განვითარებული ქვეყნისთვის“ (LDC), „ბრიტანული ერების გაერთიანების“ წევრი ქვეყნებისთვის (BPT), რეჟიმი „კარიბკანი“ და სხვა.
4. მკაცრი/პროტექციონისტული რეჟიმი – არის ადგილობრივი კომპანიებისთვის, უცხოურ კომპანიებთან კონკურენციაში ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს უცხოური კომპანიების დაშვებას ადგილობრივ ბაზარზე. იგი გამოიხატება ანტიდემპინგური ან/და საკომპენსაციო გადასახადების დაწესებაში, დისკრიმინაციული კვოტების გამოყენებაში, ამა თუ იმ პროდუქციის სახეობაზე ან რომელიმე ქვეყნის პროდუქციაზე ემბარგოს შემოღებაში და სხვა.

პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP) შემუშავდა 70-იან წლებში გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) ეგიდით. GSP-ს ძირითადი არსია განვითარებულმა ქვეყნებმა დახმარება გაუწიონ ეკონომიკურად სუსტ ქვეყნებს ექსპორტის განვითარებაში. ამ მიზნით განვითარებული ქვეყნები GSP-ს მოსარგებლე ქვეყნებს (GSP-ს ბენეფიციარებს) ანიჭებენ გარკვეულ შეღავათებს საგარეო ვაჭრობაში. კერძოდ, აწესებენ ბენეფიციარი ქვეყნებიდან ექსპორტირებულ საქონელზე საიმპორტო ტარიფის საბაზრო განაკვეთებთან შედარებით შემცირებულ განაკვეთებს. ამგვარი შეღავათები აადვილებს მათი საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე, ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას და ეხმარება საექსპორტო წარმოების განვითარებაში. ამ მიზნით GSP ხელს უწყობს განვითარებადი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციას, მათი ექსპორტის მოცულობისა და მისგან მიღებული შემოსავლების ზრდას.

უნდა აღინიშნოს, რომ GSP-ს პრინციპები განსხვავდება ტარიფებისა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების (General Agriment on Tatiffs and Ttrade - GAAT) ჩვეულებრივი წესებისაგან, კერძოდ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის გამოყენების ნორმებისაგან.

ამიტომ, **GSP**-ს შემოღებამ მოითხოვა **GAAT**-ის სპეციალური გადაწყვეტილება, რომელიც დაფიქსირდა **GAAT**-ის დებულებაში უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

ამჟამად, **GSP**-ის შეღავათებს თავის სავაჭრო პარტნიორებს ანიჭებს ევროკავშირის 25 სახელმწიფო, აშშ, კანადა, იაპონია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, შვეიცარია, ნორვეგია, რუსეთის ფედერაცია და ბელორუსია. ამათგან საქართველოსთვის შეღავათები არ მიუნიჭებია მხოლოდ ავსტრალიას, ახალ ზელანდიას და ნორვეგიას. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას და ბელორუსიას, მათთან საქართველოს გააჩნია შეთანხმებები თავისუფალ ვაჭრობაზე, რომელიც გულისხმობს ურთიერთვაჭრობაში საბაჟო ტარიფის სრულ გაუქმებას.

დღესდღეობით საქართველოსთვის **GSP**-ის ბენეფიციარის სტატუსი მინიჭებული აქვს: ევროკავშირს (1995წ.), შვეიცარიას, ჩეხეთს, სლოვაკეთს, კანადას, იაპონიას, აშშ-ს (2001 წ.), პოლონეთს (2002 წ.), თურქეთსა (2002 წ.) და ესტონეთს (2003 წ.).

GSP-ს ბენეფიციარის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმები

განვითარებული ქვეყნები ანიჭებენ განვითარებად ქვეყნებს **GSP**-ს ბენეფიციარი ქვეყნის სტატუსს, თუ ეს ქვეყანა აკმაყოფილებს გარკვეულ მოთხოვნებს, რომლებიც ზოგადად შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს:

- ქვეყნის ან ტერიტორიის ეკონომიკა უნდა იყოს განვითარებად სტადიაზე;
- ტერიტორიას უნდა გააჩნდეს თავისი სავაჭრო-სატარიფო სისტიმა;
- ქვეყანამ ან ტერიტორიამ საბაჟო გადასახადებში **GSP**-ს შეღავათების მიღების თხოვნით უნდა მიმართოს განვითარებული ქვეყნის მთავრობას;
- პრეფერენციის მიმნიჭებელი ქვეყნის მთავრობამ უნდა მიაკუთვნოს ბენეფიციარი ქვეყანა ან ტერიტორია მათ რიცხვს, რომლებზეც შეიძლება შესაბამისი წესით გავრცელდეს ასეთი შეღავათები.

გარდა ამისა, ყველა ქვეყნის **GSP** სქემა ინდივიდუალურად განსაზღვრავს დამატებით მოთხოვნებს, რომელთა დაკმაყოფილებაც მოეთხოვება ბენეფიციარ ქვეყანას.

მაგალითად, აშშ რომელიმე ქვეყნისთვის პრეფერენციების მინიჭებისას, ეკონომიკურ კრიტერიუმებთან ერთად გარკვეულ პოლიტიკურ მიდგომებსაც ითვალისწინებს, კერძოდ:

- ქვეყანა არ უნდა იმყოფებოდეს საერთაშორისო კომუნიზმის გავლენის ან კონტროლის ქვეშ;
- ბენეფიციარ ქვეყანას უნდა გააჩნდეს განვითარებადი ეკონომიკა;
- უნდა სარგებლობდეს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით აშშ-თან;
- იყოს ვაჭრობასა და ტარიფებზე გენერალური შეთანხმებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაწილე.

მხედველობაში მიიღება აგრეთვე:

- რამდენად იზღუდება არამართებული საექსპორტო პრაქტიკა;
- საკუთარ მუშა-მოსამსახურეთა უფლებების საერთაშორისოდ აღიარებული წესებით დაცვის უზრუნველყოფა;

- ჰქონდა თუ არა ადგილი უცხოელი ინვესტორების ქონების ექსპროპრიაციის ან ნაციონალიზაციის ფაქტებს და ა. შ.

ზოგიერთ შემთხვევაში **GSP**-ს ბენეფიციარი ქვეყანა ან ტერიტორია შეიძლება გამოირიცხოს ბენეფიციართა სიიდან. გამოირიცხვის ძირითადი კრიტერიუმია ქვეყნის შემოსავლების დონე – თუ ქვეყანა გახდება მაღალშემოსავლიანი (ამ ცნების მსოფლიო ბანკის განსაზღვრების შესაბამისად), მას ჩამოერთმევა **GSP**-ს შეღავათები.

თუმცა, **GSP** სქემები ამ შემთხვევაშიც არაერთგვაროვანია და თითოეულ ქვეყანას გააჩნია თავისი დამატებითი კრიტერიუმები **GSP**-ს გამოყენების შეჩერებისთვის.

მაგალითად, ევროკავშირმა **GSP**-ს რეჟიმი შეიძლება მოუხსნას ბენეფიციარ ქვეყანას ნებისმიერ დროს გარკვეული ვადით, მთლიანად ან ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა დაფიქსირების შემთხვევაში:

- იძულებითი შრომა ნებისმიერი ფორმით, რომელიც განსაზღვრულია უენევის კონვენციებით, აგრეთვე შრომის საერთაშორისო კონვენციებით;
- პატიმართა მიერ დამზადებული პროდუქციის ექსპორტი;
- ნარკოტიკების (არაკანონიერი ნივთიერებების ან საწყისი მასალების) ექსპორტსა და ტრანზიტზე საბაჟო კონტროლში აშკარა ხარვეზები და ფულის გათეთრების შესახებ საერთაშორისო კონვენციების დარღვევა;
- თაღლითობა ან საქონლის წარმოშობის ქვეყნის დამადასტურებელი სერტიფიკატის (ფორმა „A“) (იხ. დანართი 1) შემოწმებისთვის ადმინისტრაციულ თანამშრომლობაზე უარი;
- არაკეთილსინდისიერი სავაჭრო პრაქტიკის აშკარა შემთხვევები. მათ შორის ევროკავშირის დისკრიმინაცია და ურუგვაის რაუნდის მსვლელობაში მიღებულ, ბაზარზე დაშვებასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა დარღვევა.

GSP-ს შეღავათების დროებითი მოხსნა არ არის ავტომატური და ხორციელდება გარკვეული პროცედურების მიხედვით ევროკომისიის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მასალებზე დაყრდნობით. ეს პროცედურა ღიაა დაინტერესებული მხარეებისთვის, რომელთაც შეუძლიათ მიმართონ ევროკომისიას, რათა მოსმენილ იქნეს მათი პოზიცია.

ზოგიერთ შემთხვევაში **GSP**-ს სქემიდან შეიძლება გამოირიცხოს არა მთლიანად ქვეყანა, არამედ ბენეფიციარი ქვეყნის ესა თუ ის საქონელი. კონკრეტული ქვეყნის კონკრეტული პროდუქციის გამოირიცხვის მიზეზი შეიძლება გახდეს **GSP**-ს რეჟიმით იმპორტირებული პროდუქცია, რომელიც ზარალს აყენებს (ან შეიძლება შეუქმნას ზარალის მიყენების რეალური საფრთხე) ადგილობრივ წარმოებას, რის შედეგადაც იგი განიცდის ვარდნას. ამგვარი გამოირიცხვის მიზეზი შეიძლება გახდეს აგრეთვე იმპორტის მიერ გარკვეული ზღვრული მოცულობის გადაჭარბება.

მაგალითად, იაპონიის მინისტრათა კაბინეტის განკარგულებით შესაძლებელია **GSP** ჩარჩოებში პრეფერენციული რეჟიმით მოცული პროდუქციიდან გამოირიცხოს კონკრეტული ქვეყნის კონკრეტული საქონელი, თუ:

1. ბენეფიციარ ქვეყანაში წარმოებული და იაპონიაში ექსპორტირებული პროდუქცია აჭარბებს იაპონიაში ანალოგიური პროდუქციის მსოფლიო ექსპორტის 25 %-ს ან/და
2. ბენეფიციარი ქვეყნიდან იაპონიაში ექსპორტირებული საქონლის ღირებულება აჭარბებს 1 მილიარდ იენს.

აშშ თავის **GSP**-ს სქემაში აგრეთვე იყენებს ე.წ. „ლიმიტირებას, კონკურენციის დასაცავად“ (Competitive-need Limitations - **CNL**), რომელიც ამერიკის **GSP**-ს ქვეკომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე ვრცელდება **GSP**-ს ბენეფიციარი ქვეყნების ცალკეულ პროდუქციაზე.

სუბკომიტეტი ყოველწლიურად მიმოიხილავს იმპორტის სტატისტიკას და თუ მოცემული ქვეყნის კონკრეტული პროდუქციის იმპორტი მიაღწევს გარკვეულ ზღვარს, მას ჩამოერთმევა შეღავათებით სარგებლობის უფლება.

ამერიკის **GSP**-ს წესებით დაინტერესებულ მხარეს გააჩნია უფლება მიმართოს ქვეკომიტეტის ლიმიტირებისგან გათავისუფლების თხოვნით.

პრეფერენციული ტარიფით სარგებლობის ძირითადი პირობები

იმისათვის, რომ ბენეფიციარი ქვეყნიდან ექსპორტირებულმა საქონელმა, რომელიც ექვემდებარება პრეფერენციული (შეღავათიანი) ტარიფით დაბეგვრას, ისარგებლოს ამ სატარიფო რეჟიმით, სავალდებულოა დადასტურდეს მისი წარმომავლობა მოცემული ქვეყნიდან. ამასთან, ექსპორტი უნდა განხორციელდეს გარკვეული მოთხოვნათა დაცვით.

ტრანსპორტირების წესები (პირდაპირი ბალატვირთვა)

ტრანსპორტირება უნდა მოხდეს პრეფერენციის მქონე ექსპორტიორი ქვეყნიდან უშუალოდ პრეფერენციების მიმნიჭებელ ქვეყანაში. ამასთან, გზაში არ უნდა მოხდეს საქონლის გადამუშავება, ან მასზე გარკვეული ოპერაციების განხორციელება (გარდა იმ ოპერაციებისა, რომლებიც აუცილებელია ტრანსპორტირებისას ტვირთის ნორმალურ მდომარეობაში შენარჩუნებისთვის).

თუ საქონელი გაივლის სხვა ქვეყნის ტერიტორიას, მან დასაშვებია ისარგებლოს პრეფერენციებით ორი პირობის დაცვის შემთხვევაში:

1. სატრანზიტო ქვეყანაში საქონელზე არ ხორციელდება რაიმე ოპერაცია, გარდა სატრანსპორტო აუცილებლობით გამოწვეული ისეთი ოპერაციებისა, როგორცაა გადატვირთვა ან დროებითი განთავსება საწყობში;
2. გადატვირთვა ან საწყობში დროებითი განთავსება წარმოებს სპეციალურ საბაჟო ზონაში, ან სხვა ნებისმიერ ადგილას, სატრანზიტო ქვეყნის საბაჟო სამსახურის მეთვალყურეობის ქვეშ.

პრეფერენციის მქონე ექსპორტიორი ქვეყნიდან პრეფერენციების მიმნიჭებელ ქვეყანაში შეტანილი საქონელი სარგებლობს პრეფერენციის რეჟიმით იმ შემთხვევაში, თუ შეტანამდე საქონელი გადატანილი იყო სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გამოფენაზე ან ბაზრობაზე და ამასთან, პრეფერენციის მიმნიჭებელ ქვეყანაში მისი შეტანა წარმოებს პრეფერენციის მქონე ექსპორტიორი ქვეყნიდან ამ საქონლის უშუალოდ გადამტანი პირის მიერ. ამ შემთხვევაშიც დაცული უნდა იყოს ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმები.

წარმოშობის კრიტერიუმები

იმის გამო, რომ მსოფლიოს ქვეყნებს ერთმანეთის მიმართ სხვადასხვა სავაჭრო რეჟიმები გააჩნიათ, იმპორტიორი ქვეყნისთვის აუცილებელია დაადგინოს პროდუქციის წარმოშობის ქვეყანა, რათა განსაზღვროს, თუ რომელი სავაჭრო რეჟიმით უნდა დაბეგროს აღნიშნული პროდუქტი – იქნება ეს MFN-ის, ჩვეულებრივი ვაჭრობის, თავისუფრალი ვაჭრობის, GSP-ის თუ სხვა რეჟიმი.

იმისათვის, რომ პროდუქცია ჩაითვალოს ამა თუ იმ ქვეყანაში წარმოშობილად, იგი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, რომელიც მოცემულია წარმოშობის წესებში. ვინაიდან საყოველთაოდ უნიფიცირებული „წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესები“ არ არსებობს, ამა თუ იმ სავაჭრო რეჟიმისთვის საქონლის წარმოშობის დადგენის კრიტერიუმები რეგულირდება სხვადასხვა მრავალმხრივი ან ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე და ეროვნული კანონმდებლობით.

სახელმწიფოთა ეროვნული სისტემები, რომლებსაც ისინი იყენებენ საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ამასთან, წარმოშობის წესები შესაძლებელია იცვლებოდეს იმისდა მიხედვით, თუ რა მიზანს ემსახურება იგი (კვოტების ადმინისტრირებისთვის, შეღავათიანი სატარიფო მოსაკრებლების ამოღებისთვის, წარმოშობის განმსაზღვრელი დამდების გამოყენებისთვის და სხვა), მაგრამ ასეთ სისტემაში არსებული განსხვავებების მიუხედავად არის ორი ძირითადი პრინციპი, რომლებსაც ისინი ეფუძნებიან:

1. **წარმოშობის დადგენა პროდუქციის სასაქონლო კოდის ცვლილებით.** მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული „საქონლის კოდირებისა და აღწერის ჰარმონიზებული სისტემა“ მოიცავს 97 თავს. თითოეულ თავში საქონელი რანგირებულია გადამუშავების ხარისხის მიხედვით (დაწყებული ნედლეულით, შემდეგ ნახევრად დამუშავებული საქონელი და დამთავრებული მთლიანად გადამუშავებული საქონლით). კლასიფიკაციის ამ სისტემის გამოყენებისას, საქონელი ითვლება ექსპორტიორ ქვეყანაში წარმოებულად, თუ საექსპორტო პროდუქციის სასაქონლო კოდი ოთხნიშნა დონეზე განსხვავდება გადამუშავების პროცესში მის საწარმოებლად გამოყენებული ყველა ნედლეულისა და მასალების სასაქონლო კოდებისგან.
2. **საქონლის წარმოშობის დადგენა დამატებული ღირებულების პრინციპით.** ამ პრინციპის მიხედვით, პროდუქტი ჩაითვლება ექსპორტიორ ქვეყანაში წარმოებულად, თუ მან განიცადა ე.წ. „საკმარისი გადამუშავება“. რაც ნიშნავს, რომ პროდუქციის „ფრანკო-ქარხნის – EXW“¹ ღირებულების გარკვეული პროცენტული წილი მიღებულ უნდა იყოს საბოლოო გადამამუშავებელი და ექსპორტიორ ქვეყანაში გადამუშავების/დამუშავების შედეგად. გარდა აღნიშნულისა, არსებობს „საკმარისი გადამუშავების“ დეტალური აღწერის მეთოდი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, თუ რა

¹ „ფრანკო-ქარხნის – EXW“ ტერიმინი გულისხმობს ექსპორტიორის ვალდებულებას თავის ქარხანაში ან საწყობში დატვირთოს იმპორტიორის მიერ მიწოდებული სატრანსპორტო საშუალება. დატვირთვის შემდეგ პროდუქციის ტრანსპორტირების ყველა ხარჯი და რისკი მყიდველზე გადადის.

EXW პირობის მიხედვით, პროდუქციის ფასში არ შედის ტრანსპორტირების და სხვა ხარჯები, რომელიც გაწეულია პროდუქციის ქარხნიდან გატანის შემდეგ. იმისათვის, რომ განსაზღვროს, ეკუთვნის თუ არა პროდუქციას GSP- ტარიფით დაბეგვრა, განვითარებული ქვეყნების საბაჟო ორგანოები პროდუქციის საბაჟო ფასად იღებენ სწორედ EXW პირობის ფასს, საიდანაც შემდეგ ახდენენ პროდუქციაში შემავალი იმპორტირებული მასალების პროცენტული წილის გამოთვლას.

ოპერაციების განხორციელების შემდგომ ითვლება საბოლოო პროდუქტი გადამუშავების ქვეყანაში წარმოშობილად.

პროდუქცია საგებლობს პრეფერენციათა რეჟიმით ორ შემთხვევაში, პირველი, თუ იგი მთლიანად წარმოებულია ბენეფიციარ ქვეყანაში. მთლიანად ბენეფიციარ ქვეყანაში წარმოებულ პროდუქციად ითვლება შემდეგი პროდუქტები:

- ბენეფიციარი ქვეყნის მიწის წიაღიდან ან ზღვის ფსკერიდან ამოღებული მინერალური პროდუქტები;
- ბენეფიციარ ქვეყანაში მიღებული მცენარეული პროდუქცია;
- ბენეფიციარ ქვეყანაში შობილი და გაზრდილი ცოცხალი ცხოველები;
- ბენეფიციარ ქვეყანაში ცოცხალი ცხოველებისგან წარმოებული პროდუქცია;
- ბენეფიციარ ქვეყანაში ნადირობით ან თევზჭერით მიღებული პროდუქცია;
- ბენეფიციარი ქვეყნის კუთვნილი საზღვაო საშუალებებით მიღებული საზღვაო თევზჭერის პროდუქტები;
- ბენეფიციარი ქვეყნის კუთვნილ საზღვაო საშუალებებზე დამზადებული სხვა პროდუქტები, რომლებიც ზედა პუნქტში არ მოიხსენიება;
- ბენეფიციარ ქვეყანაში სამრეწველო წარმოების შედეგად მიღებული საწარმოო ნარჩენები;
- ზემოაღნიშნულ პუნქტებში ჩამოთვლილი პროდუქტებიდან ბენეფიციარ ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია.

მეორე, თუ პროდუქცია ბენეფიციარ ქვეყანაში იწარმოება საზღვარგარეთიდან იმპორტირებული მასალებით, ასეთი პროდუქცია შესაძლოა ჩაითვალოს ბენეფიციარ ქვეყანაში წარმოებულად მხოლოდ მაშინ, თუ მოხდება მათი საკმარისად გადამუშავება, ანუ გადამუშავების ხარჯები აღემატება პროდუქციის ღირებულების გარკვეულ (ზღვრულ) პროცენტს, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის **GSP**-ს სქემებში სხვადასხვაა.

პროდუქტს ბენეფიციარ ქვეყანაში წარმოშობილი ან წარმოებული პროდუქტის სტატუსი არ ენიჭება მხოლოდ მაშინ, თუ განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

- ტრანსპორტირების და შენახვის დროს პროდუქციის ნორმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად აუცილებელი ოპერაციების განხორციელება (შრობა, გაყინვა, მარილხსნარში მოთავსება და სხვა ანალოგიური ოპერაციები);
- უბრალო დაჭრა ან გაბნევა;
- ბოთლებში, ყუთებში ან სხვა ანალოგიურ ჭურჭელში, შესაფუთ მასალაში მოთავსება;
- ხელახალი შეფუთვა, დახარისხება ან კლასიფიკაცია;
- მარკირება ან ეტიკეტის მიმაგრება, ასევე განმასხვავებელი აღნიშვნის ან მსგავსი ხარისხოვანი ნიშნების მიმაგრება პროდუქციაზე ან მის შესაფუთ მასალაზე;
- იმპორტირებული პროდუქტების მარტივი წესით შერჩევა;
- იმპორტირებული პროდუქტების უბრალოდ აწყობა;
- იმპორტირებული პროდუქტების ნაკეთობებიდან უბრალო ნაკრების შედგენა;
- ზემოაღნიშნულ პუნქტებში მოყვანილი 2 ან მეტი ოპერაციის კომბინაცია.

GSP-ით მოსარგებლე რეგიონული გაერთიანებებიდან იმპორტირებული პროდუქცია შედგაათებით სარგებლობს იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი ქვეყნების ერთობლივი წილი შეადგენს პროდუქციის დამატებული ღირებულების ზღვრულ პროცენტზე

მეტს. უმეტეს შემთხვევაში დამატებული ღირებულება გამოითვლება საქონლის გაყიდვის ფასის მიხედვით. ეს არის ფასი, რომელიც ფაქტობრივად გადახდილია ან გადასახდელია მისი ექსპორტირებისას პრეფერენციების მიმნიჭებელ ქვეყანაში.

პასუხობს თუ არა პროდუქცია **GSP**-ს წარმოშობის წესების მოთხოვნებს, განსაზღვრავენ პრეფერენციების მიმნიჭებელი ქვეყნების საბაჟო სამსახურები.

შედავათები ძირითადად ვრცელდება სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე და იგი ეხება საქართველოდან ექსპორტირებულ მხოლოდ იმ პროდუქციას, რომელთაც ექნებათ წარმოშობის სერტიფიკატი (ფორმა „A“).

წარმოშობის სერტიფიკატი (ფორმა „A“), ადასტურებს საქონლის წარმოშობას, რომელიც წარმოადგენს ოფიციალურ საბუთს და რომლის საფუძველზეც იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანოები შესაბამის საქონელს ანიჭებენ შედავათებს.

წარმოშობის სერტიფიკატი (ფორმა „A“) გაიცემა მხოლოდ ექსპორტიორის ან მისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ წერილობითი განცხადების წარდგენის შემდეგ. ექსპორტიორმა ან მისმა უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოს ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ექსპორტირებული პროდუქცია პასუხობს წარმოშობის სერტიფიკატის გაცემისთვის საჭირო ყველა მოთხოვნას (მაგ.: ანგარიშ-ფაქტურები, კონოსამენტები და ა. შ.).

თუ სერტიფიკატს გაჩნია რამოდენიმე ასლი, ამ შემთხვევაში მხოლოდ ორიგინალი იბეჭდება მწვანე ფურცელზე და ეგზავნება იმპორტიორ ქვეყანას. სერტიფიკატი უნდა შეივსოს ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე. წარმოშობის სერტიფიკატი (ფორმა „A“) გაიცემა ბენეფიციარი ქვეყნის სათანადო სახელმწიფო ორგანოს მიერ და მას ეკისრება პასუხისმგებლობა საქონლის წარმოშობისა და სხვა ინფორმაციის შემოწმებაზე.

წარმოშობის სერტიფიკატი (ფორმა „A“) უნდა წარედგინოს იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანოებს ბენეფიციარი ქვეყნის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემის თარიღიდან ათი თვის მანძილზე.

სერტიფიკატის გაცემის წესი:

1. სერტიფიკატი გაიცემა საქართველოს იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე მათი საკუთრების ფორმისა და რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად;
2. სერტიფიკატის გაფორმება ხდება სპეციალურ ბლანკზე;
3. სერტიფიკატის მიღებისთვის ექსპორტიორი წარადგენს შემდეგ დოკუმენტებს:
 - განცხადებას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საინვესტიციო სააგენტოს სახელზე;
 - მხარეთა შორის კონტრაქტს (ორიგინალი ან ასლი);
 - ანგარიშ-ფაქტურას (ორიგინალი ან ასლი);
 - საქონლის კუთვნილების ცნობას (ორიგინალი);
 - ექსპორტიონის აქტს საქონლის წარმოშობის შესახებ (ორიგინალი);
 - საექსპორტო ნებართვის ასლს (იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ექსპორტი ექვემდებარება ნებართვას);
4. სერტიფიკატი გაიცემა მხოლოდ დოკუმენტის სრული პაკეტის წარდგენის შემთხვევაში;

5. ექსპორტიორზე სერტიფიკატი გაიცემა ერთ ეგზემპლარად, ამასთან, ერთ სერტიფიკატში შეიძლება ჩამოითვალოს სხვადასხვა დასახელების საქონელი, თუ ისინი იგზავნება ერთდროულად;
6. სერტიფიკატის ცარიელი ადგილები უნდა გადაიხაზოს ხელით, მასში დამტკიცების შემდეგ რაიმე დამატების თავიდან აცილების მიზნით;
7. ნებისმიერი სახის შესწორებები და დამატებები სერტიფიკატში დაუშვებელია; შეცდომისას ან მონაცემების შეცვლისას ახალი სერტიფიკატი გაიცემა ადრე გაცემული სერტიფიკატის დაბრუნების შემდეგ;
8. ექსპორტიორი განცხადებისა და მის დანართებში მოყვანილი ცნობების სინამდვილეზე პასუხს აგებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
9. განცხადების რეგისტრაცია წარმოებს მიღებისთანავე, მოცემული დოკუმენტაციის სრული პაკეტის წარდგენის შემდეგ, სპეციალურ ზონარ გაყრილ და ბეჭდით დამოწმებულ რეესტრის წიგნში, რომლის ყოველი გვერდი უნდა იყოს დანომრილი. იგივე წიგნში წარმოებს გაცემული სერტიფიკატების რეგისტრაცია სათანადო ჩანაწერით;
10. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი (ფორმა „A“) გაიცემა კონტრაქტში დაფიქსირებული ვადების ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს 10 თვის ვადისა;
11. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი (ფორმა „A“) გაიცემა განცხადების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა. უარი საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემაზე უნდა იყოს მოტივირებული (განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში უარის მოტივაცია მას ეცნობება წერილობით);
12. სერტიფიკატი სრულდება ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე დამკვეთის სურვილისამებრ;
13. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემისთვის საჭირო წარმოდგენილი ყველა საბუთი ინახება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 3 წლის განმავლობაში.

საქართველოში დოკუმენტს, რომელიც დაადასტურებს პროდუქციის წარმომავლობას საქართველოდან გასცემს ორი უწყება: საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ფორმა „A“) გაიცემა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ, რომელიც **GSP**-ს სქემით გათვალისწინებული წარმოშობის კრიტერიუმებთან შესაბამისობას ადასტურებს. საქართველოს სავაჭრო-წამრეწველო პალატის მერ გაცემულ სერტიფიკატს „**CT-1**“ იყენებენ დსთ-ს ქვეყნები და იგი წარმოშობის ზოგად წესებთან შესაბამისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის საფუძველზე გაიცემა.

GSP-ს ძირითადი სქემები

GSP-ის სქემები, ცალკეული ქვეყნების მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდებიან ქვეყნისთვის პრეფერენციების მინიჭების კრიტერიუმებით, პროდუქციაზე საიმპორტო საბაჟო გადასახადებში შეღავათების გავრცელების მასშტაბებითა და მათი დონით, ასევე საქონლის წარმოშობის დადგენის წესებით, მისი დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმების მოთხოვნებითა და ა.შ.

ამჟამად ჩამოყალიბებულია **GSP**-ის პრაქტიკული განხორციელების სამი ძირითადი სქემა:

- ევროკავშირი (სხვადასხვა პროდუქციაზე შეღავათების სხვადასხვა დონე);
- იაპონია (პროდუქცია მთლიანდ ან ნაწილობრივ თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან, მაგრამ მოქმედებს შეღავათიანი იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვები);
- ამერიკის შეერთებული შტატები (საბაჟო გადასახადებისგან მთლიანად გათავისუფლება).

დანარჩენი სახელმწიფოები (კანადა, შვეიცარია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, თურქეთი) ზემოაღნიშნული სამი ძირითადი სქემიდან ერთ-ერთს იყენებენ, თუმცა თვითონაც შეაქვთ მასში გარკვეული ცვლილებები თავისი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

პერიოდულად ხდება ქვეყნების მიერ გამოყებული სქემების განახლება, რაც მთლიანად დამოკიდებულია ეროვნულ მთავრობაზე და გადასინჯული სქემის მოქმედების ხანგრძლივობა მერყეობს 1-დან 10 წლამდე. განვიხილოთ სხვადასხვა ქვეყნის **GSP** სქემების ძირითადი მახასიათებელი ნიშნები და თავისებურებანი.